14/09/2022

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ოპერის მომღერლები მიიღო

.წ. 12 სექტემბრს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიიღო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სხვადასხვა თაობის სოლისტები, რომელთაც შეასრულეს არიები როგორც ქართული, ისე უცხოური ოპერებიდან.

შეხვედრაზე აღინიშნა მუსიკის განსაკუთრებული როლი ადამიანის ცხოვრებაში და ასევე რთული პერიოდების დაძლევაში.

მომღერლებმა მის უწმინდესობას მასპინძლობისთვის და ქართული მუსიკის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს და ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვეს.

patriarchate.ge